20-ს ნოემბერს, № 32 1886 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

უმაღლესის მთავრობის განკარგულებანი.

წესდებანი,

რომელნიც საზღვრავენ ქართლის ეპარქიის სამღვდელოების კრებების მოქმედებათა სფერას.

(დასასრული *).

1) კრება თვის შორის აღმორჩეული კომისიით (თბილისში ეს კომისია მტკიცდება ექსარხოსისაგან), იხილავს სამღვდელოებისაგან შემოსული და დახარჯული ფულების ანგარიშსა დოკუმენტებით და ეკონომიური ანგარიშის იმ მუხლებს, რომლებზედაც იხარჯება სამღვდელოებისაგან შემოტანილი ფულები. (განჩ. უწმ. სინოდისა 30 სექტემბრიდამ და 23 ოკტომბრიდამ 1870 წლისა). ხოლო კრებას არ შეუძლია შეცვლა სასწავლებლის ფულებისა, წიგნთ-საცავისა და ქონებისა, რომლების შემოწმების დროს უსათუოდ ესწრებიან სამმართველოს წევრნი, სამღვდელოებისაგან აღმორჩეულნი, რომელთაგან კრებას შეუძლია შეიტყოს ამ ქონებათა სისწორე. (განკ. უწ. სინოდისა 15 სექტემბრიდამ და 8 ოკტომბრიდამ 1872 წლისა).

2) კრება იხილავს სასწავლებლის შესანახავად ხარჯთა-აღრიცხვას (смѣта), რომელიც წარედგინება მას სასწავლებლის სამმართველოსაგან. შემდეგ ამ ხარჯთა აღრიცხვის შესწორებისა და მოწონებისა კრება უდგენს მას დასამტკიცებლად საქართველოს ექსარხოსს. (განჩ. უწ. სინოდისა 31 იანვრიდგან და 18 მარტიდგან 1868 წ.)

3) კრება ნიშნავს სასწავლებლის შესანახავად საჭირო ფულებს როგორც თავის საშუალებათაგან, აგრეთვე თავის ოლქის ეკლესიების საშუალებათაგან, დასამტკიცებლად იმა ფულებისა, რომელიც ეძლევა სასწავლებლის შესანახავად საქართველოს საეკლესიო ხაზინიდამ. იმ ფულებს, რომელსაც სამღვდელოება იხდის სასწავლებლის შესანახავად, კრება თანასწორად ანაწილებს ეკლესიების საშუალებათა და კრებულის წევრთა ჯამაგირის მიხედვისამებრ. (ცირკ. უქაზ. უწმიდესი სინოდისა 30 აპრილიდგან 1873 წლისა № 18; განკ. უწ. სინოდისა 15 სექტემბრიდამ და 18 ოკტომბრიდამ 1872 წ. განკ. უწ. სინოდისა 24 ოკტომბრიდამ და 8 ნოემბრიდამ 1873 წ.)

4) კრებას შეუძლია სთხოვოს საქართველოს ექსარხოსს, რათა ხარჯთა აღრიცხვის ზოგიერთა გასავლის დასაფარავად ხმარებულ იქმნას ნაწილი იმა ფულებისა, რომელიც შემოდის საერო წოდების ბავშებისაგან სასწავლებელში სწავლების უფლებისათვის. (განჩ. უწ. სინოდისა 18 ოკტომბრიდამ და 4 იანვრიდამ $18^{73}/_{74}$ წლებისა).

ბ) დანიშვნა სასწავლებელი ფულისა სასწავლებელში სწავლის უფლებისათვის საერო წოდების მოწაფეებზე.

1) კრება ნიშნავს ერთ გვარ გარდასახადს მზგავსად სხვა სასწავლებლებისა და არა მეტ-ნაკლებს.

2) მაგრამ კრებისაგან დანიშნული სასწავლებელი ფასი არ უნდა აღემატოს იმას, რასაც ამ პირთ ახდევინებენ სხვა სამოქალაქო სასწავლებლებში. (განკ. უწ. სინოდისა 13 და 20 დეკემბრიდამ 1867 წ.)

გ) აღრჩევა სამღვდელოების მხრით ორი წევრისა და სხვა კითხვები ჩვენებისა მებრ ყოველად სამღვდელოისა.

1) კრებამ უნდა იხმაროს დიდი სიფრთხილე სამღვდელო პირთაგან წევრების აღმორჩევის დროს, რომ მისგან აღმორჩეულნი პირნი იყვნენ ღირსნი წევრად ყოფნისა და მთელი სამღვდელოების მინდობილებისა არა მხოლოდ თვისი განათლებით, არამედ თავისი ზნეობით და ხასიათითაც (განჩ. უწ. სინოდისა 31 იანვრიდამ და 18 მარტიდამ 1868 წ.)

2) სასწავლებლის სამმართველოს წევრად სამღვდელოების მხრით არ აღმოიჩრჩევიან ისეთნი პირნი, რომელნიც თვით სასწავლებელში იმყოფებიან მასწავლებლად. (განკ. უწ. სინოდისა 13 და 20 დეკემბრიდამ 1867 წ. და 16 ოკტომბრიდამ და 1 ნოემბრიდამ 1868 წ.)

*) იხ. „მწყემსი“ № 31.

3) სასწავლებლის სამმართველონი ემორჩილებიან სემინარიის სამმართველოს და ამიტომ ერთ და იმავე პირს არ შეუძლია იყოს წევრად ორივე ადგილს, ე. ი. სასწავლებლის სამმართველოშიაც და სემინარიაშიაც. (განჩ. უწ. სინოდისა 2 მაისიდგან და 6 ივნისიდგან 1869 წ.)

4) როცა სამღვდელოების მხრით სასწავლებლის სამმართველოს წევრების აღრჩევა გათავდება, ორი მღვდელ მოსამსახურე, რომელთაც წევრად აღრჩეულების შემდეგ უმეტესი კენჭი ამოუათ, ინიშნებიან წევრების კანდიდატებათ, რომელნიც დაიჭერენ მათ ადგილს, თუ წევრები ვადის გათავებამდე სამსახურს თავს დაანებებენ. (განჩ. უწმიდესი სინოდისა 13 და 20 დეკემბრიდამ 1867 წ.)

6) გამოსული წევრის ადგილს იჭერს, მღვდელ მთავრის დამტკიცებით, უფროსი კანდიდატი, რომელმაც მიიღო მომეტებული კენჭი კრებისაგან. (განჩ. უწ. სინოდისა 11 მარტიდამ და 4 ივნისიდგან 1868 წ.)

7) სასწავლებლის სამმართველოის წევრებად სამღვდელოების მხრით აღმორჩეულ უნდა იქმნან ისეთი პირნი, რომელნიც სცხოვრებენ თვით იმ ადგილს, სადაც სასწავლებელი იმყოფება, ანუ მის მახლობლად. (განჩინება უწმიდესი სინოდისა 7 და 19 აპრილიდამ 1871 წ. და 21 იანვრიდამ და 17 თებერვლიდამ 1872 წ.)

§ 23) კრებას არა აქვს უფლება შეეიდეს იმ საქმეების განხილვაში, რომელნიც მათ არ შეეხებათ გარდა იმაებისა რომელნიც მოხსენებულნი არიან 22 §-ში. (ცირ. უქაზი უწმინდესი სინოდისა 14 ივლისიდგან 1872 წ., № 39), აგრეთვე არ შეუძლია კრებას განიხილოს ვისიმე მოხსენებანი სასწავლებლის მდგომარეობაზედ სწავლისა და აღზრდის მხრით.

§ 24) კრებისაგან დადგენილი კითხვების ჟურნალები კრების თავს-მჯდომარისაგან წარედგინება საქართველოს ექსარხოსს, რომელიც სდებს ამ ჟურნალებზე შესაფერს განჩინებაებს თავის შეხედვისა მებრ. (23 § წეს.)

ეს წესდებანი იბეჭდებიან „მწყემს"-ში იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ბრძანებით იმერეთის ეპარქიის საღვდელოთა სახელმძღვანელოდ.

განჩინება საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორისა 24 სექტემბრიდამ და 22 ოქტომბრიდამ 1886 წელსა.

განჩინებისა მებრ საქართველო იმერეთის სინოდალნი კანტორისა 24 სექტემბრიდამ და 21 ოქტომბრიდამ ამა 1886 წლისა საქართველოს საექსარხოსოის ერთი ბლაღოჩინთაგანი, წინა აღმდეგ არა ერთ გზით მოხდენილის განკარგულებისა სინოდალნის კანტორისაგან, მიცემისათვის გლეხთადმი მოწმობისა, რომ გინი არიან მღვდლის შვილნი, რაზედაც საეკლესიო საბუთში არ არის ცნობა,—დაიშტრაფა ათი მანეთით გამოცხადებით ამა დაშტრაფისა გაზეთ „მწყემს"-ში გასაფრთხილებლად სხვა საექსარხოსო საღვდელოთა პირთა, რომ მათ არ მისცონ შემდეგში ამისთანა მოწმობანი.

20-ს ნოემბერს, № 32 1886 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

1883-1886

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

ერთი წლისა გაგზავნით დაგაუგზავნელად	5	მან.
ნახევარი წლის — — —	3	—
„მწყემსი" რუსული დამატებით —	6	—
ნახევარი წლით — — —	4	—
ცალკე რუსული დამატება წლით —	3	—
ნახევარი წლით — — —	2	—

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ვისაც ჯერეთ კიდევ „მწყემსი"-ს ხელ-მოსაწერი ფულები არ შემოუტანია, მორჩილად ვსთხოვთ, დაუჩქარონ მისი გამოგზავნა.

ჩვენ მოძმეთ სოფლის მღვდელთა და ბლაღოჩინთა საყურადღებოდ.

სტატია პირველი.

რამდენიც უნდა ილაპარაკონ, რამდენიც უნდა საჯონ და აუგონ ჩვენი სამღვდელოება, მაინც, ეჭვი არ არის იმაში, რომ მათ შორის მრავალნი მოიპოებიან იმისთანა პირნიცა, რომელნიც სულით და გულით ხელ-მოკიდებულნი არიან თავიანთ მოვალეობაზე, სულით და გულით ცდილობენ, რომ მტკიცედ აღასრულონ თავის თანამდებობა და რიგიანად დამწყსონ და დაიცვან რწმუნებული მათდამი სამწყსონი. არ შეგვიძლია, რასაკვირველია, არ აღვნიშნოთ ისიცა, რომ ამდენ სამღვდელოებაში რამდენიმე არ გამოერიონ სუსტნი და დაუდევნელნი, რომელნიცა თავისი მოქმედებით და ყოფაქცევით სახელს უტეხენ დანაშთენ კეთილ მწყემსთა. მაგრამ ერთი და ორი ამისთანა პირი დანარჩენ კეთილ-მოქმედ მწყემსთა ვერ დაამცირებენ, რომ სხვა უმეტესი არაფერი გვაკლდეს. ახლანდელ დროში სამღვდელოების მისი მოვალეობის რიგიანად აღსრულების ხელის შემშლელ და დამაბრკოლებელ მიზეზებად მოჰყავსთ ხოლმე ხან დროების შეკრების დებულება, ხან სამღვდელოების გაუნათლებლობა და ხან რას არ ამბობენ კიდევ, ვინ მოსთვლის...

მართალია, მღვდელი განათლებული უნდა იყოს, არც შიმშილი უნდა აწუხებდეს, მაგრამ ცხოვრება სულ სხვას გვიმტკიცებს. ვხედავთ მღვდლებს, მაღალი სწავლის მქონეთა, რომელნიც დიდ ჯამაგირებს იღებენ და მდიდრულად სცხოვრობენ. ვხედავთ საშუალო სწავლის მიმღებთა და ღარიბთაცა, მაგრამ მათ სამსახურში არავითარი განსხვავება არა სჩანს; ხშირად ორი ტალანტის მიმღებს უფრო სარგებლობა მოაქვს ათი ტალანტის მიმღებთან შედარებით. ჩვენ სულ სხვა მიზეზი გვაბრკოლებს, რომელსაც ყურს არ უგდებთ და რომელზედაც იმდენს არ ვფიქრობთ, რამდენსაც სხვა ქრისტიანეთა აღსარების მწყემსნი ფიქრობენ და დიდ ყურადღებას აქცევენ.

ჩვენ გვაკლია ერთგულობით და ერთ სულობით მსახურება და მოქმედება ქრისტეს ყანასა შინა.

არა გვაქვს კარგად გამოკვლეული და გაგებული მწყემსობის იდეა, უმთავრესი მიზანი ჩვენი სამსახურისა და ჩვენი მოვალეობის დანიშნულებისა. წარმოიდგინეთ მრავალნი მუშაკნი, რომელნიც ერთ საქმეზე დამდგარან. თუ ამ მუშაკთა შორის ერთგულობა და ერთსულობა არ სუფევს, თუ მათ უმთავრესი მიზანი თავიანთი მუშაობისა არ შეუგნიათ კარგად, თუ ისინი ერთმანეთს არ უწყობენ ხელს და არ ეხმარებიან, არ შეიძლება მათმა შრომამ ნაყოფი მოიტანოს და საქმე კეთილად დაგვირგვინდეს.

დააკვირდით კარგად დღევანდელს ჩვენს სამღვდელოებას. მათში, მცირე ნაწილი უმაღლეს სწავლა მიღებულია. თითქმის ნახევარს საშუალო სასწავლებლებში აქვსთ სწავლა დამთავრებული. დანარჩენ სამღვდელო პირებში ზოგს დაბალ კლასებში მიუღიათ სწავლა და ზოგს შინაურულად შეუსწავლიათ საღმრთო წერილი და მიუღიათ მღვდელობის ხარისხი.

ეხლა დააკვირდით ჩვენი სამღვდელოების ეხლანდელს სამსახურს და ცხოვრებას. ერთი რიგი ჩვენი სამღვდელოებისა სულ ქალაქისკენ მიიწევა. არ კადრულობს სოფელში სამსახურს. დიდი ჯამაგირის ადგილს ეძებს. ყველაზე უმეტესად ცდილობს საერო წოდების სასწავლებლებში საღმრთო სჯულის სწავლების თანამდებობა იშოვოს. თუ ჯამაგირი მიეცა ბლომათ, მზად არის ორ-სამ სასწავლებელში დაიკავოს თანამდებობა. იმაზე მაინც-და-მაინც ბევრს არ იზრუნებს, შეიძლებს თუ არა ყველგან სწავლებას. არც ზოგიერთი ამ სასწავლებლის უმფროსები შესწუხდებიან, თუ შეგირდთა კარგად არ ეცოდინათ საღმრთო სჯული, რადგან მათის აზრით საღმრთო სჯულის საგნის უცოდინარობა საქმეს დიდათ არ დაბრკოლებს. საღმრთო სჯულის საგნის ცოდნაში ორის ნიშანი რომ მიიღოს მოსწავლემ, შეუძლია შემდეგ კლასში გადვიდეს, თუმცა ეს მოუხერხებელია ბერძნული და ლათინურის ენის შესახებ. ამისთანა მღვდელთა ნიადაგი ფიქრი მასში მდგომარეობს, რომ პენსია დაიმსახურონ, შემდეგ პენსიასთან ჯამაგირიც იღონ, კარგად ჩაიცვან და კარგად იცხოვრონ. ამისთანა მღვდლებს თქვენ ვერ დაინახავთ სამღვდელოების რომელიმე შეკრებილებაზე. ან კი როგორ იკადრებენ სოფლის მღვდლებთან ერთად სხდომას და საზოგადო საგნებზე მსჯელობას! ისინი ფიქრობენ, რომ ეპარქიის დანარჩენ სამღვდელოებასთან მათ საქმე არა აქვსთ და ხშირად სოფლის მღვდელთან ლაპარაკიც კი ეჩოთირებათ. ამ მღვდლებს დავიწყებიათ ის, რომ ისინიც იმავე საქმეს ემსახურებიან, რომელსაც დანარჩენი სხვა სამღვდელოება.

დააკვირდით ეხლა მეორე რიგის მღვდელთა. ესენი მტკიცედ და ბეჯითად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. თავის დროზე სწირავენ, თავის დროზე ლოცულობენ, ქადაგებასაც წარმოთქმენ ხოლმე ხანდის-ხან, ეკლესია სუფთად აქვსთ ყოველთვის დაცული და კეთილად შემკობილი. მღვდელ მოქმედებას დაუზარებლად ასრულებენ თავიანთ სამწყსოთა, სკოვრებენ კეთილად და მშვიდობიანად. გარეშე თავის ეკლესიისა და სამრეველოისა არავისი ჯავრი არა აქვსთ. თავიანთ მოძმეთა ჭირი და განსაცდელი მათ სრულებით არ აწუხებსთ. ხშირად თავიანთ მოძმეთა უბედურებაში მონაწილეობის მიღებისა და ძმური თანაგრძნობის გამოჩენისა წილ, შანს უგებენ და ნაცვლად შემწეობისა ხელს უშლიან მათ. ამათაც დავიწყებიათ ის, რომ ყველანი ერთ საქმეს ემსახურებიან და ყოველი ცუდი საქციელი თავის მოძმისა მისი კეთილი სახელის დამამდაბლებელი და მისი გავლენის დამამცირებელია ხალხის თვალში.

მესამე რიგის მღვდელთა თავის დანიშნულებათ მარტო ის მიაჩნიათ, რომ შაბათ-კვირას და დღესასწაულ დღეებში სწირონ და ილოცონ და სხვა-და-სხვა მღვდელ მოქმედება შეასრულონ სამწყსოთა. ამ მოვალეობას თუ ასრულებენ ეგინი, გულ-დამშვიდებით დარწმუნებულნი არიან, რომ თავის მოვალეობას მტკიცედ ასრულებენ და აღასრულებელი მათ არაფერი არა რჩებათ!..

ასე ყველას თითქმის თავისებურად გვესმის ჩვენი მოვალეობა და შრომა, ყველანი ასე განცალკევებულად ვშრომობთ და ვიღვწვით. ერთი ერთმანეთს ხელს არ უწყობთ და არ ვეხმარებით გაჭირების დროს. არ უსწორებთ ერთმანეთს შეცდომას და, სამწუხაროდ, ჩვენს ერთსა და იმავე სამსახურში არ ვიჩენთ ერთ სულობას და ერთ გულობას. აი ეს გვაბრკოლებს ჩვენ უმეტესად ყოვლისა. ჩვენი დაბრკოლება არ შეუძლია იმდენად სიღარიბეს და უსწავლელობას, რამდენათაც ესენი გვაბრკოლებენ და ხელს გვიშლიან...

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვემსახურებით ერთსა და იმავე ღვთის საქმეს. ყველანი ერ-

თი ერთმანეთს უნდა ეეხმარებოდეთ; გაჭირვებაში მოძმეთა ხელს უწყობდეთ, უცოდინართა ვარიჯებდეთ, მშრომელთა და კეთილ-მუშაკთა თანაგრძნობას უცხადებდეთ და ეამხნევებდეთ. არ არის საჭირო ერთი-ერთმანეთის ნახვა, გაცნობა და დამეგობრება. მადლობა ღმერთს, დღეს ჩვენა გვაქვს ისეთი საშუალება, რომლითაც ჩვენ დაშორებულ მოძმეთა ჭირსა და ლხინსა ვეყოფილობთ. რაღაა ამაზე უკეთესი, მაგრამ ყველანი ესარგებლობთ ამისთანა საშუალებით? ძლიერ მცირე.

მიზეზი ამისა გახლავსთ ჩვენი დაუდევნელობა, ჩვენი გულ-გრილობა და ჩვენი ნიადაგი ზრუნვა, რომ მარტო ჩვენ ვიყოთ კარგად და ჩვენ ვიცხოვროთ კეთილად. არ ვზრუნავთ იმაზე, რომ მოვიპოვოთ და შევიძინოთ ის, რაც აღამაღლებს ჩვენს გონებას, ჩვენს სახელს და ჩვენს გავლენას სამწყსოთა შორის. ამისათვის ვკარგავთ კიდეც ხალხის თვალში იმ მაღალ მნიშვნელობას და გავლენას, რომლითაც ასე შემკულნი იყვნენ ძველნი სამღვდელონი. მართალია, ეხლანდელი სამღვდელოების მდგომარეობა დიდათ განირჩევა ძველი დროის სამღვდელოების მდგომარეობისაგან, მაგრამ მაინც ბევრია თვითონ ჩვენზე დამოკიდებული. მაინც მრავალს შემთხვევაში ვიჩენთ ჩვენ სისუსტეს და გულ-გრილობას, რომელსაც ჩვენთვინვე მოაქვს ცუდი ნაყოფი.

მღ. დ. ღამბაშიძე.

ბერის-ხეობიდამ (ბორის მაზრა).

დღე—12 ოქტომბრისა—შესანიშნავ დღედ უნდა ჩაითვალოს და ჩაიწეროს ჩვენის ხეობის მატიანეში. ამ დღემ დაგვიმტკიცა პირველად ის, რომ განათლების შუქი, ცოტაც მაინც, მოეფინა ოსების მღვიმე—ღელეებსაც და მეორედ გვიჩვენა ის, თუ რაოდენი სარგებლობა შეუძლიანთ მოუტანონ თვის ერს, თვის საყვარელ სამშობლოს მის დაწინაურებულთა შვილთა, რომელთაც სწავლა მიუღიათ და თავის მოძმეთა შორის მოუპოვებიათ გავლენა.

ზემოხსენებულს რიცხვს სოფ. ბერში შეიკრიბნენ მთლად ორი სამრეველოის მცხოვრებნი: ჰვრივისა და ოერტევისა. მათ ჰქონდათ გადასაწყვეტად ორი შესანიშნავი კითხვა ირადის და ხარნაგების მოსპობაზე. ამ კითხვებს ვეძახი შესანიშნავს იმიტომ, რომ წარმოდგენილი მაქვს, თუ რამოდენად ლუპავენ ეს ჩვეულებანი ოსთა კეთილ-დღეობას. ამ ორ კითხვაზე ხალხი ცოტაოდნად ჩაფიქრდა, რადგანაც იგი უნდა გამოსალმებულიყო ამ ჩვეულებათა, რომელთაც აგრე მაგრად ჩანერგეს თვისი ფესვები ხალხის გონებაში, ასე რომ ეს ორი ჩვეულება ითვლებოდა სამლოთოდ. საქმის მეთაურნი და მწარმოებელნი გახლდნენ: პრაპორშჩიკი ბატ. ბეგა ქოქოევი და მისი შვილი,—პატივცემული მღვ. მ. ბრიგორი ქოქოევი. მათი შემწეობით ხალხმა მოისაზრა ამ ჩვეულებათა მავნებლობა და თანხმობა გამოაცხადა შემდეგ მუხლებზე:

1) ირადში წინანდელ ოც-და-ათ ძროხის და შვიდ თუმან ფულის (სულ 500 მანათამდე) მაგივრად ძისცენ ხოლმე ამიერიდამ მხოლოდ ერთი ხარი და ერთი ძროხა (25 მანათამდე) და ოთხ თუმნისა კიდევ სასიძომ საცოლოს ტანისამოსი უყიდოს. ნიშანი სასიძოს მართებს მისცეს საცოლოს სახლობას ერთი მანეთი, ან ერთი მანეთის ღირებული ნივთი. მოისპოს ხშირი ზღვნის მიტანა.

2) წინანდელი ჩვეულებით მიცვალებულის დამარხვა და ხარჯები (ხარნაგა, ხისდები) ოსს უჯდებოდა 500-1000 მანათამდე, მხოლოდ ამიერიდამ ეს ხარჯები შემცირდეს 80-100 მანათამდე. ამ ორ მუხლის უარის მყოფელმა და დამრღვევმა გარდიხადოს ჯარიმა 50 მანეთი....

გარდა ამისა აქვე გარდასწყვიტეს: მოაგროვონ კომლზე თითო აბაზი და ვანათის სკოლასთან გამართონ ბინა იმ შეგირდებისათვის, რომელნიც შორსა დგანან და თავის დროზე მოსვლა სკოლაში უძნელდებათ. ყველა ამაზე შესდგა განაჩენი და ხელიც მოაწერეს....

სიხარულით ვეგებებით ამ საქმეს; ღმერთმა კეთილად დააგვირგვინოს! დღე, ამ ფაკტმა დაუმტკიცოს წინააღმდეგი იმ quasi ერის კეთილის მოსურნეთა, რომელთაც ჰგონიათ, რომ ოსთა შორის ჯერ არაფერი კეთილის საქმის დაწყობა არ შეიძლებაო.... მაშ გაუმარჯოს კეთილ საქმეს! გაუმარჯოს მის მეთაურებს''....

პრაპორჩიკმა ბატ. ბეგა ქოქოევმა, რომელსაც დიდი ხანია მოუპოვებია მთელ ბორის მაზრის ოსთა შორის ნდობა და სიყვარული სთხოვა ჯავის ხეო-

ბის მამასახლისს, რომ მან ჩააგონოს ხალხს, რათა მან შეასრულოს თავის განაჩენი და მამასახლისმაც იმედი აღუთქვა... ღმერთმა ჰქნას!....

გიორგი ლიახველი—ჩ.

ზუგდიდის მაზრიდამ.

Ოქტომბრის 3 ჩემს სამრევლოში ერთ გლეხს მეუღლე გარდაეცვალა. გარდაცვალების დროს დაესწრენ დედა და და მიცვალებულისა. როცა საბრალო ქალმა სული განუტევა, და და დედა მოშორდენ თავის სიძის სახლს და ახლო მეზობლისას შევიდნენ და მათ მწუხარება სრულებით არ ეტყობოდათ, თუმცა სხვა მონათესავენი დიდს მწუხარებაში იყვნენ. გარდაცვალების დღე იყო ხუთშაბათი. ამ დღიდგან პარასკევს საღამომდის მიცვალებულის დედას და დას ისე ეჭირათ თავი, რომ კაცი მათ მწუხარებას ვერ შეამჩნევდა. პარასკევს საღამოდამ დედამ და დამ მორთეს საზარელი ტირილი და დიდს მწუხარებას მიეცნენ. ბოლოს როგორც დედამ და დამ, ისე მახლობელმა ნათესავებმა შავის მაგიერ, ჩაიცვეს თეთრი პირტკლის ტანთ-საცმელი. ამ გარემოებამ ძრიელ გამაკვირვა მე და ამიტომ გამოვკითხე მიცვალებულის დედას მიზეზი, რომლის გამო ის არ სტიროდა და არ სწუხდა თავის შვილზე პარასკევს საღამომდის და ან ეხლა რათ ჩაიცვა თეთრი ტანთ-საცმელი, როდესაც მიცვალებულზე მონათესავენი შავ ტანთ-საცმელს იცმენ? ამაზე მიცვალებულის დედამ მიპასუხა შემდეგი: «ჩვენი მწუხარების მოთმენის მიზეზი იყო ზეციური ბრალი, (ქინიში ბრალი) წყრომა. პარასკევს საღამომდის რომ გვეტირა მიცვალებული, ჩვენ გაგვირისხდებოდა ზეციური ქუხილი და მეხისაგან ყველანი დავიხოცებოდით. ამიტომ მოვითმინეთ ჩვენ ტირილი და მწუხარება. შავის მაგიერ თეთრი ტანთ-საცმელი ჩავიცვით მისთვის, რომ ქუხილის, ელვის და მეხისაგან არ დავიხოცოთ. ყოველს წელიწადს ზეციური ბრალის ლოცვა გვმართებს. დანიშნულს დღეს უნდა შევსწიროთ ზეციურ ბრალს კარგი თეთრი ძროხა, თეთრი ცხვარი და თეთრი თხა. შეწირვის წინად უნდა მოვნახოთ მაღალი ადგილი, მასზედ უნდა დავასოთ ოთხი მაღალი სარი, ზედ წნელისაგან გაკეთებული ჩელტი უნდა დავდვათ და ამ ჩელტზედ თეთრი მიტკალი უნდა გადავაფაროთ. ამ პირტკალზედ შეწირული ცხოველების ხორცი უნდა დავალაგოთ. მერე უნდა აუნთოთ წმინდა სანთლები. შემდეგ ყველა მამა-კაცთ უნდა დაიჩოქონ და უნდა შეევედრონ ზეციურს ბრალს, ზენა დიდებულს (ზენა დიდებულად უწოდებენ ქუხილს, ელვას და მეხს). როცა ლოცვას გაათავებენ,—შეწირული ხორცის შეჭმა უნდა გაათავონ იმ მაღალ ადგილს. ეს იმიტომ, რომ ამ მაღალ ადგილებში უფრო საშიშოა მეხისა».

ამ მოთხრობამ მე ძლიერ გამაკვირვა და დამარწმუნა იმაში, რომ ზოგიერთ სამრევლოებში ხალხი მტკიცედ ასრულებს ზოგიერთ კერპთაყვანის მცემლობას და კაცი არ არის, რომ ხალხი დაიხსნას ამ ცუმეცრებიდგან. პირველად ეს ჩვენი მოვალეობა არის, რომ გავაგებინოთ ჩვენ სამწყსოს, რომ ქუხილი, ელვა და მეხი არის ბუნების მოვლენანი და მათი თაყვანის ცემა და მსხვერპლის შეწირვა წინააღმდეგია ღვთის მცნებისა.

მღვ. ბართლომე იორავა.

კონსტანტინეპოლიდამ.

ხამს, რომ ძმამა ძმისა ხვედრი, მოიკითხოს არ გააგდოს,
მისი მწარე ბედთა პყრობა მანც იკისროს, არ დააგდოს,
რაც რომ ხელათ მალა ეპყრას, განიპყრას და განიცადოს
ჰქონდესთ რამე, ან იშოვნონ, ერთმანეთსა უწილადონ.
თუმც რომ ერთი იმათგანი მტერსა ეპყრას დასასჯელად,
რა გინდ ავი საქმეც იყოს და საქნელიც ძრიელ ძნელად,
ხამს, რომ მოძმეს არ ეძინოს სცდიდეს მისდა დასახსნელად,
და არც თავი მისდა დახსნად დაიზოგოს დასაწველად.

მ. რედაქტორო, ჩემს მოვალეობად ვრაცხ, როგორც სიმართლის აღდგინების მოსურნე, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის ,,მწყემსი‘‘-ს საშუალებით შევატყობინო მკითხველ საზოგადოებას ის, თუ როგორ უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი წმიდა ათონის ივერიის მონასტერში მცოვრები ქართველთ ბერები ბერძენთ ბერებისაგან.

ვგონებ საბერძნეთის მეფის ივლიანე ბანდეგილის დროის შემდეგ აწმყო საუკუნემდის არ ყოფილა ისეთი ცუდი დამოკიდებულება ამ მთა წმიდის ივერიის მონასტრის ბერძენთ და ქართველთ ბერებ შორის, როგორსაც დღესა ეხედავთ. ჟაი ხანია, რაც მე საქართველოდამ გამოვემგზავრე წმიდა ადგილების თაყვანის საცემლად. პირველად მოვიწადინე ათონის მთაზე მისვლა და ივერიის მონასტრის დათვალიერება და ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის საკვირველ მოქმედი ხატის თაყვანის ცემა. ღვთის შეწევნით მივედი ათონის მთაზე; მაგრამ ჩემი სურვილი ისე არ ამისრულდა, როგორც მწადდა: ამ მონასტრის ბერძენთ ბერები ძალიან ურიგოდ და გულ ცივად მომეპყრნენ. მეორე დღეს ილია წინასწარმეტყველის დღესასწაული იყო, ამიტომ მე მოვიწადინე ამ დღესასწაულზე დასწრება და გავემგზავრე მეორე ადგილას, სადაც დღესასწაულობენ ამ დღეს და სადაც სცხოვრობს ღრმათ მოხუცებული სამი ქართველი ბერი. მათ დიდის სიამოვნებით მიმიღეს. დღესასწაულზე დავესწარი და დიდი პატივის ცემა მივიღე ამ ბერებისაგან. ამ ბერებს უამბე, თუ როგორ ცუდად მომეპყრენ მონასტერში ბერძენთ ბერები. ამაზე მათ მიპასუხეს, რომ მათაც ძალიან ცუდად ეპყრობიან მონასტრის ბერძენთ ბერები. მათ მიამბეს, რომ იმათაც ძვირად უშვებენ მონასტერში და ერთ ამ ბერთაგანს, სქემონაზონს ბრიგორის (რატიანია გვარად) სრულებით აკრძალული აქვს მონასტერში ჩასვლა. მათ თურმე სრულებით ყურადღებას არ აქცევენ ბერძენთ ბერები და კიდეც მეცადინობენ, რომ ისინი გამოაძევონ იქიდგან. ამ ქართველ ბერებს არ აძლევენ ბერძენთ ბერები ნებას, რომ მათ მორჩილი იყოლიონ, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ როცა ისინი დაიხოცებიან, მათი სავანეც თვითონ ჩაიგდონ ხელში. ამ ღრმათ მოხუცებულ სამ ბერთაგან ერთი ოთხმოცის წლისა არის იმერეთის ეპისკოპოსის ძმა ბესარიონ სქემონაზონი (ჭიქოძე), მეორე სამოცდა ხუთი წლისა არის, ისიც ბაენათის მონასტრის არქიმანდრიტის ბესარიონის ძმა ქრისტეფორე (ახვლედიანი), რომელიც ითვლება ახალი ივერიის იოანე ღვთის-მეტყველის სავანის მოძღვრად. მესამე სქემონაზონი ბრიგორი (რატიანი), რომელიც სამოცი წლისა არის. ამ უკანასკნელს კიდეე შეუძლია მცირე ოდენი მოძრაობა, მაგრამ რომელ ერთს ემსახუროს. მათმა უნუგეშო მდგომარეობამ მეტად შემაწუხა.

სავანე, სადაც ეს სამი ბერი სცხოვრობს, აშენებულია ათონის მონასტრის მახლობლად წმიდა იოანნე და ექვთიმე მთაწმიდელების თავობით და მთელი საქართველოს ხალხის ღვაწლით და შემწეობით. ვერ წარმოიდგენს კაცი ,თუ ვის საკუთრებას და უკვდავ საუნჯეს ვინ ეპატრონება დღეს და მასთან რა უკადრისად ექცევიან ბერძენთ ბერები ქართველ ბერებს და მონასტრის სანახავად და წმიდა ადგილების თაყვანის საცემად ყველა მოსულ პირთ, განსაკუთრებით ქართველებს.

ჩემის აზრით ურიგო არ იქნება, რომ ქართველმა ერმა ყურადღება მიაქციოს ამ მთაზე მცხოვრებ ქართველ ბერებს, რომელნიც უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი და მასთან უსამართლოდ იჩაგრებიან ბერძენთ ბერებისაგან. ბანა ურიგო იქნება, რომ ქართველ ბერებს ამ მთაზე დაუბრუნდესთ თავიანთი კუთვნილება ბერძენთ ბერებისაგან და ან ასე ურიგოდ არ ექცეოდნენ ისინი ქართველთ ბერებს და ლუკმა პურის შოვის საშუალებას არ უსპობდნენ უკანასკნელთ?

მთელი მონასტრის შემოსავალი ხელთ უგდიათ მარტო ბერძენ ბერებს და ქართველ ბერებს მონაწილეობას არ აძლევენ. ამ სახით, რასაკვირველია, ბერძენთ ბერებს შეუძლიათ დაამცირონ ქართველთ ბერების სავანე, რომელშიაც დღეს სცხოვრებენ ორმოცდა ხუთი ქართველთ ბერები. ეს ასეც მოხდება, თუ საქართველოს ერი რამე შემწეობას არ აღმოუჩენს ათონის მთაზე მცხოვრებ ქართველ ბერებს. ნამდვილია, რომ ქართველთ ბერების დამცირება ნიშნავს მთელი საქართველოს ერის დამცირებას.

ბასაოცარია ბერძენთ ბერების აგეთი მოქმედება! რათ უშლიან ქართველთ ბერებს მონასტერში შესვლას და ან ათონის მთაზედ მოსულ ქართველებს რად ეპყრობიან ურიგოდ? რათ უშლიან, მაგალითად, სქემონაზონს ბრიგორის (რატიანს) მონასტერში შესვლას და ღვთის მშობლის ხატის თაყვანისცემას? ვის რას ავნებს ეს? გასაოცარია ბერძენთ ბერების ამ გვარი მოქმედება, მით უმეტეს, რომ საქართველოში დიდის პატივით არიან მიღებული ბერძენთ არქიმანდრიტები, რომელნიც საქართველოში ქრისტეს საფლავის ადგილმამულებს განაგებენ. ბანა ურიგო იქნება, რომ ამ არქიმანდრიტებმა მაინც მისწერონ წერილი თავიანთ მოძმეებს, რომ ათონის მთაზე მცხოვრებ ქართველთ ბერებს ასე უაჯავოდ არ ექცეოდნენ ისინი და მონასტრის ხვედრი შემოსავალი კანონიერად გაუნაწილონ ქართველთ ბერებსაც?

ერთი სიტყვით ენით ვერ გამოსთქვამს კაცი, თუ რა ბარბაროსულად ეპყრობიან აქ ქართველ ბერებს, რომელნიც სცხოვრებენ აქ ახალ ივერიის სავანეში და როგორ მეცადინობენ ბერძნები ათონის მთიდამ მათ გაძევებას. სხვაც ბევრი რამ ვნახე აქ ჩემი თვალით, მაგრამ ყველას აწერა შორს წაგვიყვანს და არც შეიძლება.

შემდეგ წაველ ახალი ივერიის სავანეში. აქ წინა ღამეს ღამისთევა ყოფილიყო ღვთის მშობლის ხატის პატივ საცემლად. ეს ხატი თავის ხარჯით გაუკეთებია ოც მონასტერს საყოველთაო სამსჯავროში (ლონჯა) დასასვენებლად. ბოლოს ამ მონასტრის ბერებს მოსვლიათ რაღაც განხეთქილება ერთმანეთში და ეს ხატი ლატარიაში ჩაუგდიათ; ხატი რგებია ქართველ ბერებს. ეს ხატი მთლად ვერცხლით არის შეჭედილი და ზედ ასვია ოცი მონასტრის ბეჭედი. ხატის ლატარიაში ჩაგდებამ უფრო გამაკვირვა და ცუდი აზრი დაბადა ჩემში ჩემს თანა მოძმეებზე. მე თუმცა ბერძენი ვარ, მაგრამ არ შემიძლია დავმალო ის ცუდი საქციელი ჩვენებური ბერებისა, რომელიც შევნიშნე მათში ათონის მთაზე ჩემი მყოფობის დროს. ვაცხადებ მათ ურიგო საქციელს იმიტომ, რომ ეგებ გასწორდნენ და ქართველთ ბერებისაგან ისწავლონ კაცთ მოყვარეობა და ზრდილობიანი მოქცევა.

მ. ა—დი.

ქართული საეპისკოპოსო ენქერი ტულაში.

„მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ“ ჩვენი ისტორიკოსი, პატივცემული დ. ზ. ბაქრაძე ამოირჩია თავის წევრად და ამასთანავე გამოუგზავნა თავის მიერ გამოცემულნი შრომანი „Древности“, რომელთა შორის მე XI ტომის პირველ წიგნში მოჰყოლია ქართულის ენქერის სურათი და მისი აღწერილობა.

ხსენებულს წიგნში არის ვრცელი წერილი „Церковно-археологическіе памятники, хранящіеся въ ризницѣ Тульскаго архіерейскаго дома“—ტროიცკისა. აი ამ წერილშია აღწერა ქართულის ენქერისა, რომლის გასაოცრად მშვენიერი სურათი ჩართულია წიგნის ბოლოში და ქვეშ აწერია „Грузинская археологическая палица XVII вѣка“.

ეს ენქერი მოქსოვილია მოშავ-მოყვითლო ფარჩეულისაგან და გაკრულია მრიელ თხელ ატლასზე. იგი არის სწორე ოთხ-კუთხედი, რომლის ყოველი მხარე უდრის $9^3/_4$ გოჯსა. მისი პირი დაქსოვილია ჯრესილ ოქრომკედით, ვერცხლით და მრავალფერ აბრეშუმეულის ძაფით. ნაპირებზე აკერია ოქრომკედის ფოჩი და კუთხეებში-კი აქვს გაკეთებული ბურთები; გარეშემო ნაპირებზე წაყვანილია განიერი არშია, რომელზედაც არის ქართული და ბერძნული წარწერა. არშიას შიგნით არიან სიმბოლიურნი გამოხატულებანი, დაყოფილნი დას-დასად და მომწყვდეულნი ფიგურებში. ფიგურათა რიცხვი არის სამი.

პირველი ფიგურა ენქერის შუა გულშია. იგი არის სწორე სფერა, (кругъ) გარ შემორტყმული მიხაკის ფერ არშიით. ამ სფერის ბოლოში ჩაკერილია ვაზი, რომელიც იყოფება სამ ტოტად. ეს ტოტნიც აგრეთვე იყოფებიან რამდენსამე წვრილ ტოტებათ. ამ ტოტებისაგან დახვეულია 12 რგოლი. სფერის შუა გულში ჩაქსოვილია სახე იესო ქრისტესი ვერცხლისა და აბრეშუმის ძაფით. ხსენებულს 12 რგოლში კი ამნაირადვე ჩაქსოვილნია სახენი 12-თა მოციქულთა. ყოველ რგოლში მოციქულის გვერდით ყომრალის ფერი ვაზის რქაზედ გამოყვანილია მტევანი და ფოთოლი. ამ ნაქსოვთა და გამოხატულებათა აზრი არის: მოხაზულობა ანუ არშია სფერისა ჰნიშნავს ქვეყნის სივრცის დასასრულს (საზღვარს), სფერის (ქვეყნის) სივრცეზედ გამოცხადდა ქრისტე, რომელმაც თავისთავზედ ბრძანა: მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი. ქრისტემ თითონვე დაადგინა ზიარება თვისის სისხლით და ხორცით სახით ღვინისა და პურისა. ამ საიდუმლოების მაზიარებელნი შეიქმნენ პირველად მოციქულნი და ამიტომაც იგინი მოქცეულან ვაზისაგან გაკეთებულს ერთეულს შენობაში (რგოლებში). ქრისტეს სიტყვების მიხედვისამებრ ყოველ რგოლში მოციქულებთან ერთად გამოყვანილია თითო მტევანი და თითო ფოთოლი. აი იგი სიტყვები უფლისა: მამა ჩემი მომქმედი (მევენახე) არს. ყოველმან რტომან რომელი ჩემთანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი; და ყოველმან, რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რათა უფროსი ნაყოფი გამოიღოს... მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი (სახ. იოან. თ. 15, მ. 1, 2, 5.

კაზს, თავის აუკაკებულის რტოებით და მტევნებით, გაუგსია სოფერა. ეს ჭნიშნავს, რომ ქრისტიანობა და სამოციქულო ეკკლესია გავრცელდა მთელს ოსეთიაში.

მეორე ფიგურა არის ოთხ-კუთხედი, ჩახაზული სოფერის გარეშემო ისე, რომ იგი სოფერა მარტო ოთხს წერტილში მიესლება ოთხ-კუთხედის მხარეებს; თავ-ბოლოში ოთხივ მხრივ თავისუფლად რჩებიან კუთხენი. ზემოთა მარცხენა კუთხეში გამოუკანილია სახე ერთ თავიან არწივისა, გაშლილის ფრთებით, მარჯვენა კუთხეში—სახე კაცისა, მხრებზე ასსია ფრთები; ხელში უჭერია წიგნი; ქვემოთა მარცხენა კუთხეში სახეა ლომისა, გაშლილის ფრთებით, კლანჭებში უკავია წიგნი; მარჯვენა კუთხეში—სახე ხბოსი გაშლილის ფრთებით, ფეხებში უჭირავს წიგნი. ესენი არიან სიმბოლიური გამოსახულებანი ოთხთა მახარებელთა. ოთხ კუთხედის სახე ჭნიშნავს ქვეყნის ოთხს მხარეს, სადაც გავრცელდა ქრისტიანობა. არწივის გამოსატულობა ჭნიშნავს მახარებელს იოანეს, კაცისა—მახარ. მათეს, ლომისა—მახ. მარკოზს და ხბოსი—მახ. ლუკას.

მესამე ფიგურა არის ჯვარი. იგი შესდგება ბეზად—თინა სწორ მინიმზედ გატეხებულ ხაზებისაგან, რომელიც ხსენებულ ოთხ-კუთხედის ნახევრებითგან იწყობა და მიდის თავრჩის გასხვირა არშიამდე. ასე რომ ერთის შეხედვით კაცს ჭგონია, ითქო მთელი სოფერა და იგი ოთხ-კუთხედი ამ ჯვარს ზედ ადევსო. ჯვრის ქვემო მხარეს ხაზებ შორის გამოუკანილია აღდგომიდის ქრისტეს სახე, რომელსაც უფალი მოციქულებსა და ურწმუნო თომას დაკეტილს ოთახში გამოეცხადა. ჯვრის ზემო მხარეს ნახატია ამაღლება ქრისტესი. ჯვრის შუა ნაწილში, მის მარჯვენა ფრთაში, დახატულია მოსე, მარცხენაში კი ილია, რომელიც აღტაცებულია ცისკენ ცეცხლის ეტლით. მოსეს მხარეს, გარდა ამ წინასწარმეტყველისა, კიდევ მოჩანს მთა ნავი ორის მწვერვალით. მთაზედ მოთხრილია საფლავი, სადაც ნახევრამდის ჩაშვებულია მოსე. მის ფერსით დგას ვინმე ურმა ნიჩბითა, თავით კი კაცი, რომელსაც გულზედ ჯვარედინად გადაუწყვია მკლავები და ეკედრება ღმერთსა. იგინი არიან ძენი ისრაელისანი და მოსეს დასტირიან. აქვე დევს წიგნი. მთის მწვერვალზედ არის სხვა სურათი, აქ მოსე გარემოტულია შუქითა და ანგელოზებით. სიმბოლიური მნიშვნელობა ამ უკანასკნელის სურათისა ეთანხმება იმ თქმულებას, რომელიც დაშთენილა ძველოვანს, რომ მოსე დასაფლავების შემდეგ აღდგენილ და აღტაცებულ იქმნა ცად (ფლავიანე). საზოგადოდ, ჯვარი და მასზედ მოთოვნი გამოსატულებანი ჭნიშნავენ, რომ ეკკლესია ქრისტესი დამკვიდრებულია ჯვარზედ და ჭსუფევს მის განუსაზღვრელ ძალითა...

ჯვარს გარემო, მის უველა მხრებს უკან გამოსახული რვა ძმა აქვს ფრთიანნი ქერუბიმნი, რომელნიც აღნიშნავენ ცასა. ამ გარეკატულებას ის აზრი აქვს, რომ ქრისტეს ჯვარს ზეცათა ძმა ისია შეუერთებია ქვეითა ეკკლესიასთან.

ენქერის ბოლოებში, შიგ არშიაში, ჩართულია გამოსატულებანი: მარჯვენა ფრთაში—ღვთის-მშობლისა, მარჯვენა ზემოთში მაცხოვრისა (ამაღლებისა), ქვემოთში სერაფიმისა, და ღვთისა და წინა-მორბედი შეერთებენ მაცხოვარს, ხელი აღუპურავთ ზემოთკენ და ლოცვენ. ეს ის აზრი გამოდის, რომ ძველისა და ახალ-ღთქმათა წმიდანნი შეამავლობენ ეკკლესიისათვის...

ენქერზედ მოთოვ უველა გამოსახულებათა ახლოგელად გამოითქმის: კაზი აღნიშნავს საიდუმლო ზიარებასა; სატი მახარებელთა—სახარების ძლევა-მოსილ ჭეშმარიტებასა; ჯვარი—მტკიცე სიყვარულს ქრისტიანეთა; სატნი ქერუბიმთა, ღვთის-მშობლისა და წინა-მორბედისა—ლოცვის ძალასა.

უველა ამ გვარ სათნოებით, ამ გვარ სასულიერო თვარ-სმღით აღიჭურვება ეკლესიოსი, მტკიცე თვალი და შემოსილი ქართველთა ხსენებულის სიმბოლიურ ენქერითა.

ახლა გავარჩიოთ ზედ წარწერანი.

ენქერის ოთხის მხრის მისედვით მთელი წარწერაც იყოფება ოთხ ხტრიქონად, რომელიც ჩაწერილია არშიაებში. სამ მხარეს აწერია ბერძნულის ასო-მთავრულით, ერთ მხარეს კი ქართულ ხელ-ნართულით.

ბერძნული ნაწერი ასე ითარგმნება: „შეისხ მახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შვენიერებითა შენითა და სიკეთითა შენითა; და გარდაიცვ, და წარემართე, და სუფევდი ჭეშმარიტებისათვის. (ფსალმ. 44, გვ. 3—4).—ამ ლოცვას ჭკითხულობენ ხოლმე მაშინ, რომელსაც ეპისკოპოსი იმოსავს ენქერსა.

ქართული წარწერა: „ჩვენ მეფემან გიორგი და დედოფალმან თამარ შევამზადებინეთ ენქერი ესე მოსახსენებელად სულთა ჩვენთა. ამინ.“

რაგორც ვტყარი ზემო აღნიშნულის წერილისა მოგვითხრობს, ბ-ნს ცაგარელს ეს ქართული წარწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუგუთვნებია გიორგი X-ისა *) (1600—1605) და მის მეუღლის თამარისათვის. ამ მეფეს უფრო იმიტომ მიაწერს ბ-ნი ცაგარელი, რომ მას ჭქონდა მიწერ-მოწერა რუსეთის სელმწიფესთან და ამასთანავე მოწადინებულ იყო ასული თვისი ელენე მიეთხოვებინა მეფის ბორის გოდუნოვის ძისათვის. ადგილთა, დასაბის ბ-ნი ტრიტიცკი, ამ დროს იგი ენქერი ქართველი მეფე გიორგი X-მ გამოგზავნა მოსკოვს და ამიტომ გადატანილ იქმნა ტუღლის არქიელის სა[illegible]შიო...

იგივე ავტორი ამბობს, [illegible] რომ ამ ენქერს გარდა კიდევ არის სხვა ენქერ[illegible] ასხელდობრ ხუტინის ვარლამის მონასტერშ[illegible] ოგოგორდის ასლოს. ეს ენქერიც სრულიად [illegible]ტებით და ნაწერებით, როგორიც არის ადნაქსო[illegible]ს ენქერზედ.

პატიეცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ, ამ ენქერის სურათის გაშინჯვის დროს, სთქვა, რომ ამ გვართ, აზრით ხვსე, სტებათა ჭქონდენ ხოლმე ქალები დიდის გვარისანი და მეფეთა და ბატონიშვილთა ასულნიო.

ჩვენის მხრით დუმატებთ, რომ არა ერთი და ორი ამ გვარი და, ვინ იცის, ამაზედაც უძვირფასესნი ნიკონი დაგვკარგვია,—ნიკონი თრიად შესანიშნავი ქართველთა ძველის ხელოვნების და მხატვრობის შესამეცნებლად.

მისი მაღალ ოოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პავლე, ტფილისის სიონის ტაძრის ერთ-ერთ სადგურში აარსებს მუზეუმს ძველ ნიკოებისათვის. ამ მუზეუმის გამგეობლობას და ხელმძღვანელობას, როგორც ჩვენ შეკიტყეთ, აბარებს ბ-ნს დ. ზ. ბაქრაძეს. იმედია, ამის შემდეგ მაინც ოოვლგვარნი საგზირო და საყურადღებო ნიკონი ისრე ადრ განიბნეკინ და წარიტაცებიან, როგორც აქამდე... ღმერთმა ჭქმნას, რომ კეთილი აზრი მუზეუმის დაარსების შესახებ, მალე სისრულეში მოსულიყოს. (,,ივერია'').

*) მეფე საქართველოისა გიორგი X, მაჭმადიანობის მიუღებლობისაგამო, შაჰ აბასმა მოაწამვლინა შახამია და მოჭკლა (1605 წელს).

ახალი ამბები და შენიშვნები.

მოსწავლეთა შორის ჭუთაისში არის ძლიერ გავცელებული წითელა და ხველა; მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ჯერ ამ ავათ-მყოფობით არაევინ მომკვდარა.

***

ჩვენ ნამდვილად შეკიტყვეთ, რომ სამეგრელოს სამღვდელოების შეკრებულება სასულიერო სასწავლებლის საქმეების შესახებ დანიშნულია 25 ამა თვეს.

***

ბელათის მონასტრის მღვდელ-მონაზონის ამბერკისაგან ჩვენ მივიღეთ 61 მან. შემდეგი წერილით: „მაეთო რედაქტორო! მე მივიღე თქვენგან მოწოდება მართლ-მადიდებელი ძმობის დაარსების თაობაზე მისს მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის არქიეპისკოპოსის პავლესგან გამოცემული, მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოების წესდებულება და ანდრია მოციქულის სახელობაზე ღარიბ შაგირდთა დამხმარე ძმობის წესდებულება. წავიკითხე ყველა ესეები სულით და გულით თანაუგრძნობ ამ საზოგადოებათა და ამისათვის ვგზავნი თქვენთან 61 მან., რომელთაგან 50 მანგთხოვთ გაგზავნოთ ექსარხოსის სახელობაზედ, 6 მან. მართლ-მადიდებელი ძმობის რჩევის თავს-მჯდომარის სახელზედ და 5 მან. სემინარიის ღარიბ შაგირდთა სასარგებლოთ.“

ეს ფულები დანიშნულებისამებრ გაიგზავნა ჩვენგან. ძლიერ სასიამოვნო იქნება, რომ მამა ამბერკის წამბაძველნი აღმოჩნდნენ ამ კეთილ საქმეში.

***

ი „გამოჩენილი“ უბილეთო და უპასპორტო მატყუარა „ექიმი“, რომელზედაც ,,მწყემსი“-ს ერთ წინა ნომერში გამოვსთქვით ორიოდე სიტყვა, აღმოჩნდა ერთი სამსახურიდამ დათხოვნილი კაპიტანი ალექსანდრე სიმონის-ძე ხერასკოვი, რომელიც 15 ამ ნოემბერს დაბა ყვირილაში, შიგნიდამ ჩაკეტილ ოთახში მკვდარი ნახეს. ყვირილის სიახლოვეს, ერთ სოფელში ქალის თხოვას აპირებდა ეს ექიმი და პირველი ცოლი

კი თფილისში ჰყავდა. ვინ არ ატყუებს საწყალ სოფლის ხალხს და ვინ არ იზრდება მათი ოფლით!...

* * *

ქვირილის ნათლის-მცემლის ეკკლესიაში 16 ამ თთვეს ერთი შავშეთელი, აჭარიდამ მოსული ქართველი თათარი მოინათლა. ერთი წელიწადია, რაც იმერეთში იმყოფებოდა ის და ემზადებოდა მონათვლას. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა და საზოგადოდ საღმრთო სჯული მშვენიერად შეესწავლა ამ შავშეთელს, რადგან ქართული ენა კარგად სცოდნია. სახელად დაარქვეს მას გიორგი. მიმქმელად იყო პირველი გილდის ვაჭარი, სტაროსტა ქვირილის ეკკლესიისა ბედევან ჩუბინიძე. ეს მეოთხე შემთხვევა არის ამ ორ-სამ თვეში, რომ ქვირილაში, ამავე ეკკლესიაში სხვა სარწმუნოების პირები ინათლებიან. ძლიერ ცოტა შრომა და მეცადინეობა არის საჭირო, რომ აჭარელი ქართველები გაქრისტიანდენ, მაგრამ ამას ჩვენ ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ.

* * *

2 ნოემბერს, საქართველოს პირველ-ყოფილის დედა-ქალაქის მცხეთის ტაძარში მიაბარეს მიწას განსვენებულის კნეინა ნინო ბაგრატიონ-მუხრანსკის გვამი. დილის 9 საათსა და 10 წამზე რკინის-გზის საგანგებო მატარებელს უნდა წაეყვანა ხალხი თბილისიდამ მცხეთას უკანასკნელის პატივის მისაცემად განსვენებულისათვის. ხალხი იმდენი შეიკრიბა ტფილისის რკინის-გზის სადგურზე, რომ მატარებელმა წასვლის მსურველთა ნახევარიც ვერ დაიტია. რკინის-გზის გამგეობა იძულებული იყო მოემატა კიდევ ვაგონები. სულ შესდგა 11 დიდი ვაგონი, მაგრამ მაინც ტევა არ იყო ვაგონში და დიდ-ძალი ხალხი უალაგოდ დარჩა, მთელი გზა ფეხზე იდგა ან თვით ვაგონში, ან აივანზე, თავსა და ბოლოს. ათს საათზე ძლივს დაიძრა მატარებელი. როცა ეს ხალხი მივიდა მცხეთას, წირვა უკვე დაწყობილიყო და ხორა მგალობელთა გალობდა „რომელი ქერუბიმთა“-სა. ეკკლესია ისეეც თითქმის სავსე იყო წინადვე მისულის ხალხითა და ახლა უფრო აივსო. დიდ-ძალი გლეხ-კაცობა იყო საყდარში დილმიდამ, მუხრანიდამ და გარშემო სოფლებიდამ. მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ეგზარხოსი პავლე, ალექსანდრე გორელის ეპისკოპოსი და ბესარიონ ალავერდელითურთ. გალობას ორი ხორო ამბობდა რუსული და ქართული. წირვის დროს მიბრძანდა მთავარ-მართველი კავკასიისა თ. დონდუკოვ კარსაკოვი; დასაფლავებაზე ბრძანდებოდნენ აგრეთვე: გუბერნატორი ტფილისისა და მისი თანაშემწე, ტფილისისა და გორის მაზრის თავად-აზნაურნი, ქალი, თუ კაცი და სხვა საპატიო პირნი, ნათესავნი და ნაცნობნი განსვენებულის მთავრის ასულისა. სიტყვა განსვენებულის ცხოვრებასა და მოქალაქობაზე წარმოსთქვა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა. შუა დღის უკან ორს საათზე გალავანში და ეკკლესიის სახლში გამართულ იყო ალაპი. 4,000-ზე მეტი კაცი და ქალი მოიფინა გალავანში სასადილოდ. გლეხ-კაცობა მწვანეზედ ათსა და ოც რიგად ისხდა და სადილობდა. 4 საათზე საგანგებო მატარებელმავე წამოასხა ხალხი თბილისში. ასე გათავდა ეს სამწუხარო ამბავი კნეინა ნინოს დასაფლავებაზე.

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საინტერესო

ტელეგრამმები.

12 ნოემბერს.

ოდესა. ცეცხლის გემით „Забіака“ ოდესაში მოვიდნენ: რუსეთის კონსული ბურგასიდამ ემელიანოვი სახლობიითურთ, კაპიტანი ნაბოკოვი, პორპორუჩიკი ზალევსკი და შვიდი სამშობლოდამ გამოდევნილი ბოლგარი.

ჟურჟევო. ინგლისის დიპლომატია სტამბოლში წინააღმდეგია იმ კანდიდატისა, რომელსაც რუსეთი ურჩევს ოსმალეთს, და ამის მაგიერ ცდილობს საქმე ისე მოახერხოს, რომ ბოლგარია ისევ ოსმალეთის დამოკიდებულ სამთავროდ დარჩეს და სულთანი მხოლოდ სახელით იწოდებოდეს ბოლგარიის მთავრად.

13 ნოემბერს.

პეტერბურგი. „Journal de St.- Petersdurg“-ი გვაუწყებს, რომ რუსეთის ქვეშევრდომნი ბოლგარიაში გერმანიის მფარველობასა მიაჩემესო, ხოლო აღმოსავლეთ რუმელიაში, სადაც გერმანიას კონსულები არა ჰყავს, საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იქნებიანო.

14 ნოემბერს.

სოფია. სამხედრო სასწავლებლის რამდენსამე იუნკერმა დაასმინა, რომ ამ სკოლის მასწავლებელი,

კაპიტანი ტეპავიჩაროვი ეს რამდენიმე ხანია იუნკრებს აგულიანებს და ურჩევს, არეულობა მოახდინეთო. სასწავლებლის უფროსმა ბრძანება გასცა შეეპყრათ ტეპავიჩაროვი, თოფ-იარაღი აეხსნათ მთელის სასწავლებლისათვის და სასტიკი გამოძიება მოეხდინათ. იუნკრების საქმე არაფრით გათავდა; დამნაშავედ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი აფიცერი. კორესპონდენტებმა იმიტომ გააზვიადეს ეს საქმე, რომ ბოლგარიაში ამ ხანებში არაფერი საყურადღებო ამბავი არ მომხდარა.

ზადბან-ეფენდი სცდილობდა გაეგო, რას ჰფიქრობს სარეგენტო ახალის მთავრის კანდიდატობაზედ; ზადბან ეფენდის უპასუხეს, რომ მთავრის ამორჩევა მხოლოდ დიდის საერო კრებაზეა დამოკიდებულიო და სარეგენტოს ნება არა აქვს, არც ჰო სთქვას, არც არა ახალის მთავრის კანდიდატობის შესახებაო, შემდეგ ვითომ ზადბან-ეფენდიმ იმაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, რომ სარეგენტო ოსმალეთმა უნდა დანიშნოს ხოლმეო. ამაზე სარეგენტოს პასუხად უთქვამს, რომ მაგ გვარ შემთხვევაზე არას არ ამბობს ბერლინის ხელ-შეკრულებაო და რომ სარეგენტოს არ შეუძლიან დღე მანდელს ყოფაში მაგის პასუხი სთქვასო.

განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1887 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

„მწყემსზედ“

და „მწყემსი-“ს რუსულ დამატებაზე.

მაზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქმნება; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა (მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილის ზნეობისა (სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტო სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთ ზო გიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუც ლებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მა მოვალეობის ასრულებისათვის.

„მ წ ყ ე მ ს ი“ რუსული დამატებით მომავალ წლიდამ გამოვა სურათებით. ქართული გამოცემა გ მოვა სამჯერ თვეში და რუსული ორჯერ.

ფ ა ს ი გ ა მ ო ც ე მ ი ს ა.

მთელი წლისა გაგზავნით. . . .	5 მან.
ნახევარი — — . . .	3 —

«მ წ ყ ე მ ს ი» რუსული გამოცემით:

მთელი წლის გაგზავნით . . .	6 მან.
ნახევარი — — . . .	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით	2 —

წერილების გაგზავნა და პირის-პირ მოლაპარ კება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელი იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით; В Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“ (пастырь). ყვ რილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

შ ი ნ ა ა რ ს ი: წესდებანი, რომელნიც საზღვრ ვენ ქართლის ეპარქიის სამღვდელოების კრების მოქმ დებათა სფეროს.—არა ოფ. ნაწილი: ჩვენ მომმეთ სოფ ლის მღვდელთა და ბლაღოჩინთა საყურადღებოდ.— გორის ხეობიდამ.—ზუგდიდიდამ.—კონსტანტინეპოლი დამ.—ქართული საეპისკოპოსო ენქერი ტულაში.— ახალი ამბები და შენიშვნები.—ტელეგრამმები.—განცხა დებანი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 19 Ноября, 1886 г*

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ღამბაშიძისა და ე. ი. ხელაძის